Georgian National
Film Center
საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

ცნობის ფურცელი

№3, 2012

konkursebi

scenaris ganvitarebis dafinansebis konkursi

2012 წლის III კვარტალში გამოცხადდა სცენარის განვითარების დაფინანსების კონკურსი, სადაც შემოვიდა 31 პროექტი. საექსპერტო კომისიის მიერ განხილვის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა 5 პროექტი:

- „უარყოფითი რიცხვები“ (განმცხადებელი - შპს „ზაზარფილმი“, სცენარის ავტორი - უტა ბერია).
- „შეყვარებული დომინიკი“ (განმცხადებელი - გელა კანდელაკი, სცენარის ავტორი - მზია კეკელიძე).
- „მაღლა აწეული ხელები“ (განმცხადებელი - ქეთევან მაჭავარიანი, სცენარის ავტორები - ქეთევან მაჭავარიანი, ნესტან კვინიკაძე).
- „სხვისი სახლი“ (განმცხადებელი და სცენარის ავტორი - რუსუდან გლურჯიძე).
- „მე ვარ ბესო“ (განმცხადებელი - შპს „რეკე პროდაქშენი“, სცენარის ავტორი - გიორგი ცქვიტინიძე).

kinowarmoeba

„ჩემი საბნის ნაკეცი“

www.gnfc.ge

mimdinare kinoproeqtebi

- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი ,,ბებო" (საპროდიუსერო კომპანია – შპს ,,20 Steps FILM", რეჟისორი – სანდრო ქათამაშვილი)

- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ინგლისურის მასწავლებელი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი", რეჟისორები - ივანე არსენიშვილი, ნინო ორჯონიკიძე).

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ტოტალიზატორული ფსიქოზი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „გოგო ლები", რეჟისორი - კონსტანტინე ესაძე).

- სამონტაჟო პერიოდშია ქართულ - სომხურ - ფრანგული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ფარაჯანოვი" (საპროდიუსერო კომპანია – შპს ,,ჯემინი'', რეჟისორები – ოლენა ფეტისოვა, სერჟ ავედიკიანი).

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი" (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ჩემი საბნის ნაკეცი" (საპროდიუსერო კომპანია – შპს ,,ზაზარფილმი", რეჟისორი – ზაზა რუსაძე).

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,გასროლა წყალში" (საპროდიუსერო კომპანია – შპს ,,Polare FILM", რეჟისორი – სიმონ გროს, ნანა ექვთიმიშვილი).

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ,,ქართული ნაგაზი" (საპროდიუსერო კომპანია შპს ,,თი-სტუდია", რეჟისორი – დემნა ჯაფარიძე).

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ვეფხი და მოყმე" (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ზურა ქვაჩახია, რეჟისორი - მარიამ კანდელაკი).

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,სახლი გზის პირას" (საპროდიუსერო კომპანია – შპს ,,ბასტრა ფილს", რეჟისორი – გიორგი ბარაბაძე).

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დეტონატორი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სოლოსოლო", რეჟისორი - ბესო სოლომანაშვილი).

- სამონტაჟო პერიოდშია სრულემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ,,მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" (საპროდიუსერო კომპანია – შპს ,,ალეთეა", რეჟისორი –თინა გურჩიანი).

- წარმოების პერიოდშია შპს ,,სანგუკოს'' სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმი ,,თამაში'', რეჟისორი ნიკა მაჩაიძე და ფილმი ,,ველური დღეების ქრონიკები" რეჟისორი - დავით უჯმაჯურიძე).

- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა", რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე).

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბიბლიოთეკა" (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „Matchhouse FILM", რეჟისორი - ანა ციმინტია).

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმინდის კუნძული" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი", რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი).

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,მანდარინები" (საპროდიუსერო კომპანია – შპს ,,სინემა 24", რეჟისორი – ზაზა ურუშაძე).

- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თემურის შვილები" (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ზურა ქვირია, რეჟისორი - კოტე თაყაიშვილი).

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მადონა" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლიბ ჯი", რეჟისორი - ნინო გოგუა).

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „რამაზ ჩხიკვაძე" (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე „საბა ამირეჯიბი", რეჟისორი - ალექსანდრე რეხვიაშვილი).

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კინო" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია რეალითი", რეჟისორი - უტა ბერია).

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძმა" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინეტექი", რეჟისორი - თეონა მღვდელაძე-გრენადე).

„ფარაჯანოვი"

„გასროლა წყალში"

„ჩემი საბნის ნაკეცი"

„სიმინდის კუნძული"

sxva proeqtebi

Tbilisi Project Market

robert boSis fondis da erovnuli kinocentris erTobilivi proeqtebis bazroba

2012 წლის 24-27 ივლისს საქართველოში გაიმართა „თბილისის პროექტების ბაზრობა“. გერმანელი პროდიუსერები და რობერტ ბოშის ფონდის მიერ მოწვეული ტრენერები საქართველოში ჩამოვიდნენ. პროექტის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა და ტრეინინგი. ექსპერტებმა ქართველ კინემატოგრაფისტებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, როგორ განავითარონ პროექტები. პროდიუსერებს შორის იყვნენ: ენ კაროლინ რენინგერი (zero one film, doc & short), ან კატრინ ლევერენცი (dragonfly.films), ფალკ ნაგელი (Beleza Film, short & doc), მარტინ დანიში (Nico Kupferberg Film, doc & short), ანდრეა ვინკი (Go East Film Festival), კარინ შილე (Bosch Stiftung), ფრანკ ალბერსი (Bosch Stiftung). პროექტების მარკეტში მონაწილეობისთვის ბოშის ფონდის წარმომადგენლებმა ახალგაზრდა ქართველი კინორეჟისორების 8 პროექტი შეარჩიეს. ესენია:

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტები:
· „სუსტი“ - გურამ ბახტაძე
· „ჩემი პატარა ქალაქი“ - ვაკო კირკიტაძე, ანა ჩერქეზიშვილი

მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტები:
· „გაჩერება“ - სალომე ჯაში
· „პირიმზე“ - სოფო ტაბატაძე, ლევან ასაბაშვილი
· „უსმინე სიჩუმეს“ - მარიამ ჭაჭია, ნინო ჭაჭია
„მეფე - ირაკლი და მისი ეპოქა“ - დავით კვაჭაძე

მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტები:
· „ლილე“ - ნათია ნიკოლაშვილი
· „გენო“ - დავით კიკნაველიძე, ლელა აკიაშვილი

რობერტ ბოშის ფონდი საქართველოს კინემატო-გრაფიის ეროვნულ ცენტრთან ერთად ახორციელებს ამ ერთობლივ პროექტს, რომელიც ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების პროექტების განვითარებას და ახალგაზრდა გერმანელი თანა-პროდიუსერების მოძიებას და თანამშრომლობას ისახავს მიზნად.

regionuli kinofondi aWaraSi

6 ივლისს ეროვნულ კინოცენტრში გაიმართა აჭარის რეგიონული კინოფონდის პრეზენტაცია. პროექტი წარადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელმა - ირინა სურმანიძემ. პროექტი მომზადებულია ეროვნული კინოცენტრის და აჭარის რეგიონული მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად.

ამ პროექტით აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობის ყოველწლიური პროგრამა იწყება. ეს არის საქართველოში კინოფონდის არსებობის ანუ კინოს განვითარებისთვის ალტერნატიული წყაროს მოძიების პირველი პრეცედენტი. პროგრამა განხორციელდება 2012 წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი ამ წელს შეადგენს 100 000 ლარს, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა გამოჰყოფს.

აჭარას, თავისი ბუნებრივი (ზღვა, მთა, სუბტროპიკები და ა.შ) და არქიტექტურული (ევროპული, ტრადიციული ქართული, აზიური) რესურსებიდან გამომდინარე, დიდი პოტენციალი აქვს რეგიონში ქართველი და უცხოელი კინემატოგრაფისტების მოზიდვისათვის.

Film Print - mexuTe nomr is prezetacia

31 ივლისს, კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ეზოში, გაიმართა ჟურნალ Film Print-ის მეხუთე ნომრის პრეზენტაცია.

ნომერზე რედაქტორებად მუშაობდნენ კინომცოდნეები: არჩილ შუბაშვილი და ქეთი ტრაპაიძე. ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი. Film Print-ს ეროვნული კინოცენტრი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოსცემს.

ახალ ნომერში აქცენტი გაკეთდა ქართველი კინემატოგრაფისტების სამოციანელთა თაობაზე. (ოთარ იოსელიანი, ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე და სხვები). ნომერში გაშუქებულია კანის და ვისბადენის 2012 წლის კინოფესტივალები. ასევე გაეცნობით საინტერესო რეცენზიებს ქართულ ფილმებზე, ინტერვიუებს ცნობილ ქართველ და უცხოელ კინემატოგრაფისტებთან (ზაზა ურუშაძე, ნანა ჯორჯაძე, ნატა მურვანიძე, ზურა ყიფშიძე, მალკომ მაკდაუელი, ვიტაუტას ლანდსბერგისი და სხვები). ასევე, ნახავთ სპეციალურ პროექტს: რეზო ესაძე - რეჟისორი, მხატვარი, პოეტი. Film Print-ის მეხუთე ნომერში გაეცნობით კინოკრიტიკოსთა გამოკითხვას - 21-ე საუკუნის ქართული კინოს „შესანიშნავი შვიდეული“..

festivalebi

qarTveli kinematografistebis warmateba sazRvargareT

KEEP SMILIN anu gaiRimeT veneciis kino festivalze

რუსუდან ჭყონიას მხატვრული დებიუტი „გაიღიმეთ“ ვენეციის კინოფესტივალზე პარალელურ პროგრამაში Venice Days მოხვდა. პროგრამა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მაღალი რანგის ფესტივალის ფარგლებში მეცხრედ - 30 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით გაიმართა. საფესტივალო დღეებს ვენეციაში დაესწრნენ ფილმის რეჟისორი და ჯგუფის წევრები.

ფილმი KEEP SMILING ანუ გაიღიმეთ წარმოადგენს საქართველოს საფრანგეთის და ლუქსემბურგის კოპროდუქციას. სცენარი ეროვნული კინოცენტრის 2010 წლის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსის გამარჯვებულია. ფილმი განხორციელებულია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

როლებში: ია სუხიტაშილი, გია როინიშვილი, ოლგა ბაბლუანი, თამუნა ბუხნიკაშვილი, ნანა შონია, შორენა ბეგაშვილი, მაკა ჩიჩუა, ეკა ქართველიშვილი, ლელა მეტრეველი, ია ნინიძე, ბექა ელბაქიძე.

ფილმის დისტრიბუტორი კომპანიაა Doc & Film International.

ფილმი მოგვითხრობს იმ დრამატული მოვლენების შესახებ, რომლებიც მრავალშვილიანი დედების სილამაზის კონკურსზე ვითარდება. ათი მრავალშვილიანი დედა, რომელთაგანაც ხუთი სოციალურად უაღრესად დაუცველ ფენას ეკუთვნის, ცდილობს მოიგოს მრავალშვლიანი დედების სილამაზიას კონკურსი, რომლის მთავარი პრიზი ბინა და 25 000 ამერიკული დოლარია.



„Caika" - san sebastianis kino festivalze

ქართულ-ესპანურ-რუსული კოპროდუქცია „ჩაიკა" მოხვდა სან სებასტიანის მე-60 საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო სექციაში „New Directors". ფესტივალი 21-29 სექტემბერს ესპანეთში - სან სებასტიანში გაიმართა. საკონკურსო სექციის საპრიზო ფონდია 90000 ევრო.

ფილმის პირველი ჩვენება ფესტივალის ფარგლებში 25 სექტემბერს გაიმართა. ამას გარდა დაგეგმილია კიდევ სამი ჩვენება პრესისთვის. პრემიერას დაესწრნენ შემოქმედებითი ჯგუფის ქართველი წევრებიც. მათ შორის პროდიუსერები - ზურაბ მაღალაშვილი, რუსუდან გლურჯიძე, მსახიობები - სალომე დემურია, გიორგი გაბუნია, გელა (ბაჩი) ლეჟავა.

ფილმის რეჟისორია მიგელ ანხელ ხიმენესი. ფილმის თანაპროდუსერი კომპანიები: ესპანეთი (KINOSKOPIK), საქართველო (CINETECH), და რუსეთი (IBRUS). ქართულ მხარეს კოპროდუქციის 20% ეკუთვნის. ფილმმა ეროვნული კინოცენტრის 2010 წლის კოპროდუქციის მხარდაჭერის კონკურსში გაიმარჯვა და მიიღო სახელმწიფო სუბსიდია 250 000 ლარის ოდენობით.

მხატვრულ ფილმს „ჩაიკა" მიღებული აქვს ევროპის საბჭოს ევროპული კინოს მხარდაჭერის ფონდის - ევრიმაჟის დაფინანსება 210 000 ევროს ოდენობით.

ფილმის სიუჟეტი მოგვითხრობს გოგონას ისტორიას, რომელიც თევზსაჭერ გემზე ახალგაზრდა კაცთან ერთად იწყებს ხანგრძლივ მოგზაურობას. მამაკაცი მეზღვაურია, რომელიც სახლში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ცივ სტეპებში ბრუნდება.

2012 wlidan saraevos saerTaSoriso kinofestivalis industriuli programa qarTveli monawileebisTvis oficialurad gaixsna

ეროვნულმა კინოცენტრმა წელს უკვე მეორედ წარადგინა საქართველოს სარაევოს კინოფესტივალზე (6-14 ივლისი, 2012).

ეროვნულ კინოცენტრსა და სარაევოს კინოფესტივალს შორის 2011 წელს მიღწეული შეთანხმების შედეგად, 2012 წლიდან ფესტივალის ყველა ინდუსტრიული პროგრამა გაიხსნა პოტენციური ქართველი მონაწილეებისთვის. ქართული განაცხადები მიიღება ისეთ პროგრამებში, როგორიცაა „CineLink“, “Sarajevo Talent Campus” და “Work in Progress”.

პირველად, სარაევოს მე-18 კინოფესტივალის ფარგლებში, ინდუსტრიულ სექციაში CineLink ქართველი პროდიუსერი მონაწილეობდა. თინათინ ყაჯრიშვილის მხატვრული ფილმის პროექტი „პატარძლები“ 8 პროექტს შორის მოხვდა.

ასევე პირველად, “Sarajevo Talent Campus”-ში მოხვდა 4 ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტი: ნიკოლოზ მდივანი, ნინო ჯინჭარაძე, პაპუნა მოსიძე და გიორგი ცქვიტინიძე.

სარაევოს კინოფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პლატფორმაა, რომელიც რეგიონის კინოპრომოუშენით არის დაკავებული და ასევე გამოირჩევა უცხოური ფილმების და საერთაშორისო სტუმრების სიმრავლით.

oqros gargari - me-9 saerTaSoriso kinofestivali somxeTSi da me-6 koproduqciis forumi (Directors Across Border)

8-15 ივლისს, სომხეთის დედაქალაქ ერევანში კინოფესტივალი „ოქროს გარგარი“ გაიმართა, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენაა. ფესტივალის ფარგლებში ორგანიზებულ სექციაში Directors Across Border (10-12 ივლისი) კო-პროდუქციის ფორუმზე წარმოდგენილი იყო ორი ქართული პროექტი ნანა ჯანელიძის „სხვა სამოთხე“ და ქეთი მაჭავარიანის „ხელები მაღლა“. ფორმუზე და პანელ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენელი სალომე სეფაშვილი.

DAB-ის ფორუმზე მთავარი ჯილდო საუკეთესო პროექტისთვის (Best Project/Pitch Award) მიიღო ქეთი მაჭავარიანმა - პროექტი „ხელები მაღლა“. ჯილდო შეადგენს 5 000 ევროს.

ფესტივალის ფარგლებში მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსისთვის შეირჩა კოტე ჩლაიძის ფილმი „მირზას დაბადების დღე“. დოკუმენტური ფილმების კონკურსში კი წარმოდგენილი იყო სალომე ჯაშის ფილმი „ბახმარო“.

ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართა ელდარ შენგელაიას ფილმების რეტროსპექტივა, რომელსაც საპატიო სტუმრის სტატუსით თავად რეჟისორიც ესწრებოდა.

erovnuli kinocentri lokarnos 65-e kino festivalze industriul seqciaSi Open Doors

ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი და პროექტების მენეჯერი - ქეთი დანელია მიწვეული იყვნენ შვეიცარიაში ლოკარნოს კინოფესტივალზე, სადაც პროფესიული კონტაქტების გასამყარებლად გაიმართა შეხვედრები კინოსექტორის წარმომადგენლებთან. წელს ფესტივალის ინდუსტრიული პროგრამის Open Doors ფოკუსში იყო ფრანკოფონური აფრიკა, ხოლო 2013 წელს ლოკარნოს კინოფესტივალის ინდუსტრიული პროგრამის ფოკუსში მოხვდება კავკასიის რეგიონი. ეროვნული კინოცენტრი კოორდინცია გაუწევს საქართველოდან პროექტების შერჩევის პროცესს. ასევე, მოხდება ქართული ფილმების ჩვენება და განხილვა.

animaciuri filmebis saerTaSoriso festivali niqozSi

ეროვნული კინოცენტრის და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, 3 - 8 სექტემბერს, ცხინვალის მოსაზღვრე სოფელ ნიქოზში, ჩატარდა ანიმაციური ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი “ნიქოზი”. ფესტივალი იმართება ნიქოზის „ხელოვნების სკოლის“ და ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტ ისაიას ინიციატივით. ფესტივალზე მოწვეულნი იყვნენ უცხოელი ანიმატორები, რომლებმაც ჩაატარებეს მასტერკლასები. ასევე წარმოდგენილი იყო დრეზდენის საერთაშორისო ფესტივალის ფილმების პროგრამა.

ფესტივალის ჩატარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცხინვალის მოსაზღვრე სოფელში, რადგან ის ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვების განათლებასა და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას.



erovnuli kinocentri BIAFF 2012-ze

22 სექტემბერს, ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლებმა - სალომე სეფაშვილმა და მანანა სურაძემ ბათუმში, კინოფესტივალ „BIAFF 2012“ -ის ფარგლებში, გამართეს პრეზენტაცია კინოცენტრის საქმიანობის შესახებ. კინოცენტრმა ამავე დღეს უმასპინძლა მიღებას ფესტივალის ქართველი და უცხოელი სტუმრებისთვის.

ბათუმის საავტორო ფილმების მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალი საზეიმოდ 16 სექტემბერს, ბათუმში კინოთეატრ „აპოლოში“ გაიხსნა. გახსნის ცერემონიალზე სპეციალური პრიზი გადაეცა რეჟისორ ელდარ შენგელაიას – მსოფლიო კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის. ასევე ბიაფის დირექციის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზის მფლობელი გახდა ნური ბილგე ჩეილანს (თურქეთი).

ბათუმის საავტორო ფილმების მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალი 2012 წლის 23 სექტემბერს დაიხურა. ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი 2006 წელს დაარსდა. კინოფესტივალის ორგანიზატორია - ბათუმის ხელოვანთა სახლი “არგანი”, ოფიციალური პარტნიორი კი ქ. ბათუმის მერიაა.

კინოფესტივალის წელს კინოთეატრი „აპოლოსა“ და სასტუმრო „რედისონის“ დარბაზში ჩატარდა.

2012 წლის კინოფესტივალზე წარმოდგენილი იყო დაახლოებით 35 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი და 40 მოკლემეტრაჟიანი ფილმი 22 ქვეყნიდან. მოწვეული სტუმრები იყვნენ ევროპიდან, აშშ-დან, პოსტ-საბჭოთა სივრციდან და აზიიდან. კინოფესტივალზე გაიმართა ასევე მასტერკლასები, რომლებიც მოწვეულმა რეჟისორებმა ჩაატარეს.

ჟიურიმ, რომლის თავმჯდომარეც იყო ელდარ შენგელაია, წლევანდელი ფესტივალის მხატვრული ფილმების საერთაშორისო კონკურსში გამოავლინა შემდეგი გამარჯვებულები:

- გრან პრი – „სიბნელეში“, აგნეშკა ჰოლანდი, კანადა/გერმანია/პოლონეთი, 2011
- საუკეთესო რეჟისურა – ემინ ალპერი – „მთებს მიღმა“, თურქეთი/საბერძნეთი, 2012
- საუკეთესო მამაკაცის როლის შემსრულებელი – ალირეზა აკხაგანი, ფილმში – „ბოლო ნაბიჯი“, ალი მოსაფა, ირანი, 2012
- საუკეთესო ქალის როლის შემსრულებელი – გოლშიფტეჰ ფარაჰანი, ფილმში – „ქათამი ქლიავით“, ვინსენტ პარონო, მარიან სატრაპი, საფრანგეთი/გერმანია, 2011
- ჟიურის სპეციალური პრიზი – „სახლი კოშკურით“, ევა ნეიმანი, უკრაინა, 2011.

kanis kino festivalis kritikosTa kvireuli Tbilisi

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, 2012 წლის 15-21 სექტემბერს, კინოთეატრ ამირანში გაიმართა კანის კინოფესტივალის სექციის - კრიტიკოსთა კვირეულის ფილმების ჩვენება. კანის თბილისური კვირეული 15 სექტემბერს, კინოთეატრ ამირანში საზეიმოდ გაიხსნა.
კვირეულის მიზანი იყო, საქართველოში საერთაშორისო საავტორო კინოს პოპულარიზაცია.
ერთი კვირის მანძილზე, ქართველ მაყურებელს მიეცა შესაძლებლობა, ენახა თანამედროვე ევროპული ფილმები, რომელთა ავტორები კანის ფესტივალის კრიტიკოსებმა ახალ ტალანტებად აღიარეს.

კვირეულს დაესწრნენ კრიტიკოსთა კვირეულის სამხატვრო დირექტორი - ჩარლზ ტესონი, კვირეულის პროგრამების მენეჯერი - რემი ბონომი, ფილმ „ავეს“ პროდიუსერი - ჯოფრუა გრისონი და ფილმ „ჩემი პატარა პრინცესას“ რეჟისორი - ევა იონესკო.

„ავეს“ და „ჩემი პატარა პრინცესას“ სეანსების დასრულების შემდეგ, მაყურებელს საშუალება ჰქონდა, კითხვები დაესვათ ფილმების ავტორებისთვის.

ყველა ფილმი ნაჩვენები იყო ორიგინალ ენაზე ქართული სუბტიტრებით.

ესენი იყო:

„თავშესაფარი“ - ჯეფ ნიკოლსი (აშშ)

„17 გოგო“ - დელფინი და მარიელ კულენი (საფრანგეთი)

„გაქცეული რენე“ - ჯონათან კაუეტი (აშშ / საფრანგეთი) დოკ.

„ომის გამოცხადება“ - ვალერი დონცელი (საფრანგეთი)

„ჩემი პატარა პრინცესა“ - ევა იონესკო (საფრანგეთი)

„ავე“ - კონსტანტინ ბოჟანოვი (ბულგარეთი)

„აკაციები“ - პაბლო გიორგელი (არგენტინა / ესპანეთი)

www.gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge